დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მცირე ბიზნესის მართვის“
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 19.09.2024

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 18.11.2024

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტითითებით	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი, დოქტორი დაივა იურევიჩიენე ვილნიუსის გედიმინასის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიტვა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ელენე ჯღარკავა შპს კავკასიის უნივერსიტეტი (საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი დოქტორი დავით სიხარულიძე შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი დოქტორი თამთა ცხოვრებაძე შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	მცირე ბიზნესის მართვა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Small Business Management
უმაღლესი განათლების საფეხური	დონე 7
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მცირე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413.2.4
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 03.12.2019 №213
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელოვან სოციალურ როლს თამაშობს რეგიონში და „მცირე ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა არის უნიკალური როგორც სამეგრელოს რეგიონში, ისე მთლიანად საქართველოში. პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2018 წელს და სრული აკრედიტაცია 2020 წელს. კანონმდებლობაში არსებული ცვლილებების შესაბამისად, პროგრამამ ისევ უნდა გაიაროს აკრედიტაცია.

პროგრამა შექმნილია რეგიონში მცირე ბიზნესის წახალისების მიზნით, თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით მხოლოდ 2 კურსდამთავრებულს აქვს თავისი კომპანია და ჩართულია საოჯახო ბიზნესში. დანარჩენი კურსდამთარებულები მუშაობენ ბანკებსა და სხვა დაწესებულებებში.
პროგრამა შექმნილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპების შესაბამისად და სრულად სტუდენტზეა ორიენტირებული. ის ითვალისწინებს პროგრამის მიზნების მიღწევისთვის საჭირო აკადემიურ დატვირთვას. სამაგისტრო პროგრამა არის 120 კრედიტიანი და ითვალისწინებს 2 წლიან სრულ სწავლებას. სტანდარტული განაწილებით, სტუდენტები წელიწადში 60 კრედიტს იღებენ (30 კრედიტი სემესტრში). თუმცა, უნივერსიტეტი სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ თავიანთი სასწავლო დატვირთვა თავიანთი საჭიროებების მიხედვით, წლიური დატვირთვა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, თუმცა მაქსიმუმ 75 კრედიტი სემესტრში.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო კურსებს - 68 კრედიტი, არჩევით საგნებს - 12 კრედიტი, 10 კრედიტი პრაქტიკა და სამაგისტრო კვლევითი კომპონენტი - 30 კრედიტი. პროგრამა, ზოგადად, მოიცავს ბიზნესის ყველა ძირითად სფეროს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.

1. მარკეტინგი: მცირე ბიზნესის მარკეტინგი, მცირე ბიზნესის რეკლამა, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და მცირე ბიზნესი;

2. მენეჯმენტი: ადამიანური რესურსების მართვა და ორგანიზაციული ქცევა, ინოვაციური მმართველობა, ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე 2024 წლიდან), საერთაშორისო მართვა, ოპერაციების მენეჯმენტი.

3. ფინანსები: ფინანსური ანგარიშგება

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

უნივერსიტეტი 10 არჩევით კურსს სთავაზობს, საიდანაც სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ 1-3 სემესტრის განმავლობაში თავიანთი ინტერესების შესაბამისად. თუმცა, საგანი იკითხება იმ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად, რომლებმაც აირჩიეს ეს კონკრეტული კურსი.

ჯამში, პროგრამა ორგანიზებულია ლოგიკურად, და შინაარსიც შესაბამისია. თუმცა ზოგიერთ საგნებში აუცილებელია მეტი რელევანტური ლიტერატურა, განსაკუთრებით უცხოური. მაგისტრანტებს აქვთ ლექციები SPSS-ში (სტატისტიკური პროგრამული პაკეტი სოციალური მეცნიერებებისთვის). რეკომენდებულია, უნივერსიტეტი შეეცადოს სტუდენტების პროექტულ აქტივობებში ჩართვას; ერთი სტუდენტი ჩართული იყო ევროპული ფინანსირების მიმართულებით მცირე პროექტში და კმაყოფილი დარჩა მონაწილეობით.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერიუებმა აჩვენა, რომ ისინი სხვადასხვა მასშტაბით ჩართულები იყვნენ, პროგრამის განვითარების პროცესში. დამსაქმებლებთან შეხვედრების დროს, გამოვლინდა, რომ არც ერთ მათგანს არ ყავდა ამ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული. უმეტესობა დამსაქმებლებისა იყვნენ მუნიციპალიტეტებისა და მსგავსი ინსტიტუტების წარმომადგენლები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა:**

ვიზიტი სათანადოდ იყო ორგანიზებული. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეხვედრისასრექტორმა აღნიშნა პროგრამის როლი რეგიონში, ძირითადი მიღწევები და სამომავლო გეგმები. დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების განმავლობაში, გამოვლინდა, რომ ზოგადად, ყველა კმაყოფილია ამ სამაგისტრო პროგრამით, თუმცა პროგრამასთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეული დეტალები შევიტყვეთ. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ ძალიან აქტიურები და ამაყები იმ ხარისხითა და ცოდნით რაც მიიღეს.

ჩვენ განსაკუთრებით მოგვეწონა როგორ შეიცვალა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა ბოლო წლებში, აუდიტორიები, აღჭურვილობა (კომპიუტერული ოთახები), სისტემები, ბიბლიოთეკა და სხვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა შექმნიალი ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და თანხვედრაშია სამართლებრივ დოკუმენტებთან.

რეკომენდაციები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

○ რეკომენდებულია, პროგრამის ძირითადი სასწავლო გეგმის კომპონენტში „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსის შეტანა.

○ რეკომენდებულია, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ და „მცირე ბიზნესი“ გახდეს მცირე ბიზნესის მარკეტინგის კურსის წინაპირობა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მარკეტინგთან დაკავშირებული შინაარსის უფრო სტრუქტურირებულ და ლოგიკურ განვითარებას.

1.5. აკადემიური კურსი/საგანი

○ რეკომენდებულია, კურსი "ბიზნესის კვლევის მეთოდები"-ის არსებითი გადამუშავება, რადგან იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის.

○ რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს;

○ რეკომენდებულია, სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის ყველაზე თანამედროვე და შესაბამისი ცოდნის მიწოდება.

2.4. სტუდენტის შეფასება

○ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიერ უზრუნევლყოფილ იქნას სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და სამაგისტრო ნაშრომებში აკადემიური სტილის წესების დაცვა.

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- ○ რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს - თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას) ნაწილებს;
- ○ რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმები,

იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელება და განვითარება;

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

○ სასურველია, სპეციალიზაციის გამოცდის ნიმუშის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

- სასურველია, გაძლიერდეს პრაქტიკულ კომპონენტებში დამსაქმებელთა ჩართულობა;
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საპროექტო აქტივობებში მეტი სტუდენტის ჩართულობა;

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

- სასურველია კურსის "საწარმოო პრაქტიკის" სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემდგომი განხილვა და დაკვირვება.

2.4. სტუდენტის შეფასება

○ სასურველია, ლექტორებმა უფრო ხშირად მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი სწავლის შედეგების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

○ სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში.

○ სასურველია სტუდენტებსთვის ჩატარდეს სხვადასხვა სახის სემინარები და ვოქშოფები დამსაქმებელთა ჩართულობით.

4.2. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

○ სასურველია, განისაზღვროს თუ რა რაოდენობის მაგისტრანტი შეიძლება ჰყავდეს ერთ ხელმძღვანელს.

4.4. მატერიალური რესურსი

○ სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების რეგულარულად განახლება ახალი გამოცემებით, რაც პროგრამას უზრუნველყოფს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით.

○

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

სასურველია, პროგრამის და აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობის წახალისება;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

რეკომენდაცია - რეკომენდებულია, განისაზღვროს ერთი ხელმძღვანელის მიერ მაგისტრანტების ხელმძღვანელობის დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა - გადატანილ იქნა რჩევებში. სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა. სტანდარტი შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მცირე ბიზნესის მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც წარმატებით შეძლებენ მუშაობას მცირე ბიზნესის სექტორში. პროგრამის უპირველესი მიზნებია:

- სტუდენტებს მიაწოდოს ღრმა და სისტემატური ცოდნა მცირე ბიზნესის მართვის შესახებ, რაც მათ ამ სფეროში მაგისტრის ხარისხის მოპოვების საშუალებას მისცემს .
- სტუდენტებს შესძინოს ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პასუხობს როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას.
- ხელი შეუწყოს სტუდენტების ადაპტაციას სწრაფად ცვალებად გარემოში; ახალი იდეების განვითარებას და პრობლემების ორიგინალურად გადაჭრის გზების მოძიებას.
- შესძინოს სტუდენტებს კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების, მცირე ბიზნესის სფეროს კრიტიკულად შეფასების და ანალიზის უნარი.
- ხელი შეუწყოს სტუდენტებში მცირე ბიზნესის სექტორთან დაკავშირებული ღირებულებების განვითარებასა და გაძლიერებას.

ამ მიზნების მიღწევით, პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ მცირე ბიზნესის განვითარებაში ადგილორივ და საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ყოვლისმომცველია, სასურველ შედეგებთან მიმართებით. ყველა მიზანი არის კარგად განსაზღვრული და კავშირშია იმ სპეციფიურ

შედეგებთან, რასაც სამაგისტრო დონის პროგრამა უნდა იძლეოდეს. ეს მიზნები ასახავს მიმდინარე მოთხოვნებს და ტენდენციებს, ქმნის ბალანსს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს შორის, რაც შესაბამისია მაგისტრის ხარისხის პროგრამისთვის.

პროგრამა შექმნილია ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც მოიცავს ხანგრძლივობას, სტრუქტურას, არსებულ რესურსებს, კურიკულუმს და ფაკულტეტს. ეს შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ასევე ქმნის მყარ საფუძველს უფრო მაღალ საგანმანათლებლო დონეზე აკადემიური მიღწევებისთვის.

პროგრამა გაზიარებულია იმ პირების მიერ, რომლებიც სხვადასხვა დოზით ჩართულნი არიან პროგრამაში. უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს შექმნას ცოდნისა და დასაქმების გარემო, რომელიც აკმაყოფილებს სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მზარდ მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რეგიონის მდგრად და სტაბილურ განვითარებას , რაც ახდენს კვლევისა და სწავლების ინტეგრირებას, ხელს უწყობს კვლევის შედეგების გამოყენებასა და ინტერნაციონალიზაციას, და ინოვაციების გაზიარებას. ეს ყოველივე პოზიტიურ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ბიზნესსა და სახელმწიფოზე. ეს მისია თანხვედრაშია პროგრამის მიზანთან. მისიის ანალიზმა ცხადყო, რომ საგანმანათლებლო პროგრამა თანხედრაშია უნიერსიტეტის მისიასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბაზრის მოთხოვნების ანალიზი
- ბაზარი და დამსაქმებლები
- ვებგვერდი https://zssu.ge/en
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	■	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამა ავითარებს 10 სწავლის შედეგს. ეს სწავლის შედეგები კავშირშია პროგრამის მიზნებთან და ძირითად ცოდნასთან, უნარებთან, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ასპექტებთან. სწავლის შედეგები ფორმულირებულია ისე, რომ საშუალებას იძლევა კონკრეტული მეთოდით მოხდეს მიზნის შეფასება და გაზომვა. ისინი იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არსებული რესურსებით და დროით მიღწევადი იყოს პროგრამის ფარგლებში..

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, დარგის კონკრეტულ მახასიათებლებთან და კურსდამთავრებულებისთვის მისანიჭებენ აკადემიურ ხარისხთან. ეს უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთარებულებს ცოდნით, უნარებითა და კომპონტენციით ამ დარგში პროფესიული და აკადემიური განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს:

1. სწავლების დონესთან შესაბამისი სიღრმე და კომპლექსურობა.

2. დარგისთვის დამახასიათებელი სპეციალური ცოდნა და უნარები.

3. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მინიჭებული კვალიფიკაციის მოთხოვნები.

სწავლის შედეგები თანხედრაშია პროგრამის მიზნებთან, სტუდენტების უნარებთან და მიმდინარე საბაზრო მოთხოვნებთან. ეს უზრუნველყოფს, რომ შედეგები იყოს პრაქტიკული და ეფექტური, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან თანმხვედრი.

გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგები შემუშავდა სხვადასხვა ჩართული მხარეების თანამშრომლობით, რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ მთელი პროცესის განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა

- სილაბუსი
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	■	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 10 სწავლის შედეგს. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა ყოვლისმომცველი მექანიზმი შედეგების შეფასებისთვის, რაც მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: შეფასების რუკას, მიზნებსა და შედეგებს შორის კავშირს და სამიზნე ინდიკატორებს.

დაწესებულებას აქვს თითოეული სწავლის შედეგისთვის სამიზნე ნიშნული განსაზღვრული, რომლის მიზანია სტუდენტების 65 %-მა მიიღოს 50 ქულაზე მეტი შეფასება. თუმცა, ეს სამიზნე ნუშნული არ არის საკმარისად მაღალი, რომ უზრუნველყოს პროგრამის ხარისხის სასურველი დონე.

შეფასების მექანიზმი მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ მეთოდებს. თუმცა, არაპირდაპირი შეფასებისთვის გამოყენებული სპეციფიური ინსტრუმენტები არ არის ნათლად განსაზღვრული.

დამატებით, ზოგიერთი სწავლების შედეგისთვის ცოდნის მიღების, ღრმად გაგების და გაძლიერების ლოგიკური პროგრესია დარღვეულია. მაგალითად, სწავლების შედეგების რუკის მიხედვით, სწავლების შედეგი („სიღრმისეულად აღწერს მცირე ბიზნესის მართვის ძირითადი გამოწვევების, ბიზნეს მოდელების გამოყენების, ადამიანური რესურსების მართვისა და თანამედროვე ლიდერობის საკითხებს ორგანიზაციული ქცევის, ბიზნეს პროცესების და მათი ფუნქციების კონტექსტში“) პირველად განხილულია კურსში „თანამედროვე ბიზნეს მოდელები“, რომელიც არის შესავალი კურსი. შემდეგი კურსი "მცირე ბიზნესის მართვა" უფრო ღრმად გაგებისთვის, და "ადამიანური რესურსების მართვა და ორგანიზაციული ქვევა" და "მარკეტინგი მცირე ბიზნესში" გაცნობის მიზნით, სხვა კურსებთან ერთად.

თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ "ადამიანური რესურსების მართვა და ორგანიზაციული ქცევა" ისწავლება მეორე სემესტრში როგორც შესავალი კურსი, როცა "მცირე ბიზნესის მართვა" ისწავლება პირველ რემესტრში ჩაღრმავებული სწავლებისთვის. ეს მიუთითებს ალოგიკურ თანმიმდევრობაზე, როცა ღრმა სწავლებისთვის განკუთვნილი კურსები გაცნობით კურსებზე ადრეა. ასეთი არათანმიმდევრულობა შეინიშნება სხვა სწავლის შედეგებთან მიმართებითაც.

დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ისინი, სხვადასხვა ხარისხით, ჩართულები არიან სწალის შედეგების განვითარების პროცესში და ზოგადად ინფორმირებულები არიან მათ შესახებ.

პროგრამის პერსონალი მხარდაჭერილია, რათა განივითარონ სწავლის შედეგების ფორმულირების, გაზომვის და ანალიზის მიმართულებით უნარები. ეს მოიცას რეგულარულ სასწავლო სესიებს და ვორქშოფებს, სადაც პერსონალი ეცნობა თანამედროვე მეთოდებს სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შეფასების მიზნით. დაწესებულებას ასევე აქვს საკონსულტაციო მექანიზმები, როცა გამოცდილი ხარისხის უზრუნელყოფის სპეციალისტები სთავაზობენ ინდივიდუალურ მხარდაჭერას და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი ხელმისაწვდომი ხდება დაინტერესებული მხარეებისთვის. ეს შეფასების ანალიზები გამოიყენება ინფორმირებისა და პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა
- სამიზნე ნიშნულები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	■	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ მიყვება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის და განვითარების მეთოდოლოგიას, რომელიც დამტკიცებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ. პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე, და წარმატებულ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ მცირე ბიზნესის მაგისტრის ხარისხი (კოდი 0413.2.4).

პროგრამა შექმნილია ევროპული კრედიტების გადაცემისა და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპების შესაბამისად და სრულად სტუდენტზე ორიენტირებულია. ის ითვალისწინებს აკადემიურ დატვირთვას, რაც საჭიროა პროგრამის მიზნების მისაღწევად.

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სტანდარტული განაწილების ფარგლებში, სტუდენტები 60 კრედიტს იღებენ წლიურად (30 კრედიტი სემესტრში). პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 წელი ან 4 სემესტრი. თუმცა, უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და შესაძლებლობებს. შესაბამისად, წლიური დატვირთვა

შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაქსიმუმ 75 კრედიტი. ეს მოქნილობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაგეგმონ თავიანთი სწავლება პიროვნული და პროფესიული ვალდებულებების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტები: თანამედროვე ბიზნეს მოდელები, ბიზნესის კვლევის მეთოდები, მცირე ბიზნესის მართვა, თანამედროვე კორპორატიული სამართალი, ადამიანური რესურსების მართვა და ორგანიზაციული ქცევა, მარკეტინგი მცირე ბიზნესში, ფინანსური ანგარიშგება, ინოვაციური მმართველობა, ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციები (ინგლისურენოვანი), რეკლამა მცირე ბიზნესში, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და მცირე ბიზნესი, საერთაშორისო მართვა, ოპერაციების მართვა, ინდუსტრიული პრაქტიკა, მაგისტრის ნაშრომი.

პროგრამა ფარავს ბიზნესის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად:

1. მარკეტინგი: მცირე ბიზნესის მარკეტინგი, მცირე ბიზნესის რეკლამა, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და მცირე ბიზნესი
2. მენეჯმენტი: ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ორგანიზაციული ქცევა, ინოვაციური მენეჯმენტი, ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციები (ინგლისურენოვანი), საერთაშორისო მართვა, ოპერაციების მართვა
3. ფინანსები: ფინანსური ანგარიშგება

თუმცა, ჩვენ გვჯერა, რომ პროგრამა უფრო გაძლიერდება საწარმოს ფინანსების კურსის დამატებით, რომელიც ფოკუსირებული იქნება სპეციალურად მცირე ბიზნესის ფინანსებზე. დამატებით, ჩვენი რეკომენდაციაა "ადამიანური რესურსების მართვა და ორგანიზაციული ქცევა" კურსის ორ საგნად გაყოფა მისი მნიშვნელობისა და სიღრმის გამო. მეტიც, ჩვენი რეკომენდაციაა "ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და მცირე ბიზნესი" გახდეს კურსის "მცირე ბიზნესის მარკეტინგის" წინაპირობა რათა უზრუნველყოფილ იქნას სწავლის თანმიმდევრული პროგრესი.

მიუხედავა ამისა, ძირითადად, პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. იმ შენიშვნების გარდა, რომლებიც ზემოთაა ნახსენები, პროგრამის შემდეგი კომპონენტის წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამა მოიცავს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს. სწავლის დარგის სპეციფიკის და პროგრამის დონის გათვალისწინებით, პროგრამის შინაარსი მოიცავს ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელოვან კომპონენტებს. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი ჩართულები იყვნენ, სხვადასხვა მასშტაპით, პროგრამის განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულება
- ვებგვერდი https://zssu.ge/
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

○ რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

○ რეკომენდებულია, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები და მცირე ბიზნესი“ გახდეს მცირე ბიზნესის მარკეტინგის კურსის წინაპირობა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მარკეტინგთან დაკავშირებული შინაარსის უფრო სტრუქტურირებულ და ლოგიკურ განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	■	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სწავლის კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთობა ასახულია სწავლის შედეგების რუკაში. ეს ინსტრუმენტი ვიზუალურად წარმოაჩენს თითოეული კურსი როგორ უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. ინდივიდუალური კურსების სწავლის შედეგების დეტალური ანალიზი აჩვენებს მათ შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეული კურსის შინაარსი, როგორც აღწერილია სილაბუსებსი, თანხვედრაშია სწავლის შედეგებთან და მათ მიღწევასთან. თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეფასებულია.

თითოეული კურსის კრედიტების რაოდენობა არის შინაარსისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების პროპორციული. პროგრამაში კურსები 4 ან 6 კრედიტიანია, განსაზღვრული კურსის შინაარსისა და სტუდენტთა დატვირთის მიხედვით. საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ სწავლებას შორის ბალანსი განისაზღვრება საგნის მიხედვით.

შეფასების სისტემა მოცემულია სილაბუსებში, მოიცავს მეთოდებისა და კრიტერიუმების დეტალურ აღწერას. სისტემა არის გამჭვირვალე, ობიექტური, და უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას.

პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც 10 კრედიტიანია და საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში. დამატებით, სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 30 კრედიტს, რაც ხაზს უსვამს დამოუკიდებელი კვლევის მნიშვნელობას და სტუდენტთა უნარს წარმოაჩინონ თავიანთი მიგნებები აკადემიური სტანდარტების შესაბამისად.

კურსის სილაბუსების განხილვის შემდეგ, გამოვლინდა, რომ ზოგიერთი კურსისთვის სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას მეტი აქტუალურიბისა და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით. მაგალითად, "რეკლამა მცირე ბიზნესში" გვთავაზობს ძირითად ლიტერატურას: ბერიძე თ., კურაშვილი გ., გოდერძიშვილი ბ., "რეკლამა მცირე ბიზნესში" სალექციო კურსი, 2017 და მარკ ჰოქსი. 90 დღე თქვენი მცირე ბიზნესის წარმატებული მარკეტინგის და რეკლამირებისთვის, 2010.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულება
- ვებგვერდი
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;

○ -გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

○ რეკომენდირებულია, კურსი "ბიზნესის კვლევის მეთოდები"-ის არსებითი გადამუშავება, რადგან ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის.

○ რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს.რეკომენდებულია, სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის ყველაზე თანამედროვე და შესაბამისი ცოდნის მიწოდება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	■	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმეტებისა და გასაუბრებების მიხედვით ვლინდება, რომ სამაგისტრო პროგრამაზე მიღება არის ლოგიკური, გამჭვირვალე. ეს წინაპირობები - ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა და სპეციალობის გამოცდა, თანხვედრაშია საგანმანათლებლო დონესთან, რომ მოხდეს იმ აპლიკანტების მიღება, რომელთაც აქვთ რელევანტური ცოდნა და უნარები პროგრამების სწავლის შედეგების მისაღწევად. მიღების კრიტერიუმები და პროცესები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ კანონებთან, მოიცავს ერთიან სამაგისტრო გამოცდებსაც. მიღების კრიტერიუმები არის ნათლად ჩამოყალიბებული და პროგრამის შინაარსის შესაბამისი, მოთხოვნები და წინაპირობები არის საჯარო და აპლიკანტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია უსდ-ს ვებგვერდიდან. რათა აპლიკანტებმა იცოდნენ თუ რა ტიპის ცოდნა მოეთხოვებათ პროგრამაზე ჩასაბარებლად, მიზანშეწონილია გამოქვეყნდეს სპეციალიზაციის გამოცდის ტესტის ნიმუში ვებგვერდზე. უსდ-ს აქვს მეთოდოლოგია სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისთვის, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებს და უნივერსიტეტის რესურსებს საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურად ადმინისტრირების მიზნით. სტუდენტების მიღება პროგრამაზე შესაბამისია სტუდენტთა მიღების დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მცირე ბიზნესის მართვის პროგრამა
- სპეციალიზაიცის გამოცდის ტესტის ნიმუში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სპეციალიზაციის გამოცდის ნიმუშის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	■	□	□	□

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი მოცემულია კურსში "ინდუსტრიული პრაქტიკა", რაც 10 კრედიტიანია. პრაქტიკა არის პროგრამის აუცილებელი და სავალდებულო კომპონენტი, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის პროფესიული კარიერული წარმატების მიზნით. ინდუსტრიული პრაქტიკა გათვალისწინებულია მეორე წელს, სწავლების მესამე სემესტრის განმავლობაში. მაგისტრატურის სტუდენტები იგზავნებიან სპეციალურ კომპანიებში, რომელთანაც დაწესებულებას აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და სტუდენტებს ჰყავთ მენტორი ორივე მხრიდან. პრაქტიკული კომპონენტის გარდა, სხვა კურსები მოიცავს პრაქტიკულ კლასებს ლექციებთან და სემინარებთან ერთად, რაც წარმოების პრაქტიკასთან ერთად უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უსდ-მ ხელი მოაწერა მემორანდუმებს სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტებთან - ვი-თი-ბი ბანკის ზუგდიდის ფილიალი, თი-ბი-სი ბანკის #1 სერვის ცენტრი, აუდიტორული კომპანია "ფინსერვისი", შპს „სერერა“, აუდიტორული კომპანია "ჯ.ბ აუდიტი" ALLC "თავადი -1," LLC "კაუნატს," LLC "MGM," LLC "ტერმინალ"-ი and LLC "ეურონატ"-ი. დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს დასტურდება, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაბამისი უნარები და რბილი უნარები და ადვილად ადაპტირდებიან გარემოში. მიზანშეწონილია დამსაქმებლების უფრო აქტიური ჩართვა "ინდუსტრიული პრაქტიკის" კომპონენტში, უკეთესად რომ მოხდეს იმ აქტივობების იდენტიფიცირება, სადაც სტუდენტს მოუწევს მუშაობა პრაქტიკის დროს.

კვლევითი უნარების განვითარება ხდება 6 კრედიტიანი კურსის "ბიზნესის კვლევის მეთოდები"ფარგლებში, რომელიც ფოკუსირებულია კვლევითი შედეგების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე და გამოყენებაზე, 30 კრედიტიანი სამაგისტრო თეზისის დაცვაზე. ეს კომპონენტი უფრო ავითარებს სტუდენტების კვლევით შესაძლებლობებს და აძლევს მათ საშუალებას მოახდინონ კვლევითი საჭიროებების იდენტიფიცირება. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასრულება ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენითა და დაცვით დარგობრივი კომისიის წინ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების განხილვის შემდეგ, მოხდეს რამდენიმე საკითხის გადაჭრა, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას რეკომენდებულია ყველა სტუდენტისთვის ერთიანი გაიდლაინის არსებობა ნაშრომის სტრუქტურის, მეთოდოლოგიის, კვლევის დიზაინის და სხვა ძირითად კომპონენტებთან მიმართებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მცირე ბიზნესის მართვის პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან
- სამაგისტრო ნაშრომის განხილვა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს პრაქტიკულ კომპონენტებში დამსაქმებელთა ჩართულობა;
- სასურველია, საპროექტო აქტივობებში მეტი სტუდენტის ჩართულობა;

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	■	□	□	□

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

"მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, რაც თანხვედრაშია სწავლების დონესთან, კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. მთელი რიგი სწავლის მეთოდები გამოიყენება სტუდენტების სწავლის პროცესში ჩასართავად. ეს მეთოდები მოიცავს ვერბალურ ინსტრუქციას, წერით დავალებებს, ჯგუფურ სამუშაოებს, დისკუსიებს, თანამშრომლობით სწავლებას, პროექტის პრეზენტაციებს, დემონსტრაციებს, გონებრივ იერიშს, ქეისის შესწალას და ექსპერტის შეფასებებს. ეს სხვადასხვა მიდგომები კარგად შეესაბამება კურსის შინაარსს და სტუდენტებს ეხმარება თითოეულ სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში. თითოეული კურსის სილაბუსი დეტალურად მოიცავს სწავლისა და სწავლების მეთოდებს, რაც აჩენებს მყარ კავშირს ამ მეთოდებსა და კურსის მიზნებს შორის. ეს მეთოდები არა მხოლოდ განსხავებულია, არამედ მოქნილია, საშუალებას აძლევს პროფესორებს მოარგონ თავიანთი მიდგომები კურსის უნიკალურ საჭიროებებს ან ინდივიდუალურ სტუდენტებს. დამატებით, პროგრამა მოიცავს ინტერაქციული

სწავლების მეთოდებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების, სტუდენტთა და აკადემიურ პერსონალს შორის აქტიურ ჩართულობას. ეს ინტერაქცია მნიშვნელოვანია კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებისთვის, რაც მნიშვნელოვანია პროგრამების სწავლების შედეგებისთვის. ინტერაქციული სწავლების ტექნიკები - ჯგუფური დისკუსია და შემთხვევის ანალიზი, უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები არ იყვნენ ინფორმაციის პასიური მიმღებლები, არამედ - აქტიურად ჩართულნი ცოდნის შექმნაში.

სასურველია მოხდეს კურსის "ინდუსტრიული პრაქტიკა" სწავლის და შეფასების მეთოდების მეტი განხილვა. სილაბუსების და ინტერვიუების მიხედვით, სტუდენტები ფასდებიან შუალედური და საბოლოო გამოცდით, და ეს შეიძლება გახდეს განხილვის საგანი. შუალედური გამოცდის შინაარსი შესაძლებელია შეიცვალოს კომპონენტის პრაქტიკული მიმართულების მიხედვით, სახელდობრ, მრავალვარიანტიანი კითხვები არ არის ადეკვატური პრაქტიკული უნარების შესაფასებლად და უმჯობესია მოხდეს შესრულებული დავალებების შუალედური პრეზენტაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მცირე ბიზნესის მართვის პროგრამა და სილაბუსები
- მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია კურსის "საწარმოო პრაქტიკის" სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემდგომი განხილვა და დაკვირვება.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	■	□	□	□

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს კანონმდებლობის, პრინციპების, წესებისა და პროცედურების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროცესს.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულაციის წესის მე-19 მუხლის მიხდვით, საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტები ფასდება 10 ქულიანი სისტემით. შეფასების თითოეული ფორმა (შუალედური და ფინალური) მოიცავს შეფასების კომპონენტებს და მეთოდებს, რომლებსაც ირჩევს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

სტუდენტის ცოდნა ფასდება შუალედური და საბოლოო შეფასებებით. არ არის ნებადართული მხოლოდ ერთი ფორმის შეფასების საფუძველზე კრედიტის მინიჭება (შუალედური და საბოლოო შეფასებები). საბოლო შეფასება არის სავალდებულო. კურსი ითვლება გავლილად და კრედიტები მინიჭებულად თუ სტუდენტმა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახა შუალედური და საბოლოო შეფასებებისთვის და მიიღო პოზიტიური შეფასება თითოეულ მათგანში.

საშუალო და საბოლოო შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტში განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის რეგულირების წესებით“, კურსის

სპეციფიკის გათვალისწინებით აკადემიური/მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების ფარგლებში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება არის 100 ქულა, რაც მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებებს. არსებობს 5 ტიპის პოზიტიური შეფასება:
(ა) ფრიადი 91-100 ქულა; (ბ) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (გ) არგი – 71-80 ქულა
დ) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა ე) საკმარისი - 51-60 ქულა

ორი სახის უარყოფითი შეფასება:
(FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა ჭირდება ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;
(F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები ქულა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება საბოლოო გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა. საბოლოო შეფასების ქულა არ დაემატა სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას. დამატებითი გამოცდის დროს მიღებული შეფასება საბიოლოოა და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. თუ საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში მიიღო სტუდენტმა 0-50 ქულა, დამატებითი გამოცდის დროს შეფასების
გათვ ალისწინებით, სტუდენტი იღებს F-0 ქულას.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისთვის FX - ვერ ჩააბარა - მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი სტუდენტი წარადგენს განახლებულ სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს შემდეგი სემესტრის განმავლობაში და F (ჩაჭრა), ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აღარ აქვს უფლება წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

სამაგისტრო ნამუშევარი არის კვლევითი დოკუმენტი, რომელსაც როგორც პროგრამის ნაწილი აბარებს სტუდენტი. ეს ნათლად აჩვენებს სტუდენტის კვლევით უნარებს, მათ დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების, ფორმულირების, სტრუქტურის, საჯაროდ დაცვის შესაძლებლობებს. სამაგისტო ნაშრომი ინდივიდუალურად იწერება მაგისტრანტის მიერ, ხელმძღვანელის რეკომენდაციების გათვალისწინებით. მაგისტრანტი ირჩევს სამაგისტრო თემას თავისი ინტერესების შესაბამისად. ფაკულტეტის დეკანი ქმნის კომისიას სამაგისტრო ნაშრომის დაცვებისთვის.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებმა შეამოწმეს სამაგისტრო ნაშრომები და აღმოჩნდა, რომ მათ ჰქონდათ მცირე ბიბლიოგრაფია და არ ჰქონდა აკადემიური წყაროები მითითებული. აგრეთვე, ზოგიერთი ნაშრომის დიზაინი და გამოყენებული ლიტერატურა მითითებულია აკადემიური სტილის დაცვით და ზოგიერთ შემთხვევაში -არა. ამგვარად, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა სტუდენტებს მისცენ უფრო მკაფიო მითითებები ლიტერატურული წყაროების ციტირებისა და სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური სტილის წესების დაცვის შესახებ..

სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ შეფასების კომპონენტებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს სტუდენტებს წინასწარ აცნობენ და ლექტორები პირელ ლექციაზევე აცნობენ სტუდენტებს შეფასების კომპონენტებს.

შოთა მესხია ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოამზადა მაგისტრის ხარისხის რეგლამენტი, რომელიც აღწერს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, გამოყენებული ლიტერატურის ციტირების წესებს, ნაშრომის მომზადების, წარდგენის და დაცვის პროცესებს, მაგისტრის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, პლაგიატის თავიდან აცილების, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმებს და ა.შ. ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის აკადემიურმა და მიწვეულმა პერსონალმა სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია მაგისტრის ნაშრომის შესრულების პროცესებზე

გამოცდაზე საჩივრის შეტანის პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების და საჩივრების წესებით. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გასაჩივრების პროცედურების შესახებ, მაგრამ არ იყენებენ ამ მექანიზმს.

თუ არ არსებობს შეთანხმება ტრენინგის კურსის მომწოდებელთან და სტუდენტს შორის წინასწარი განხილვის საფუძველზე, კომისია განიხილავს საჩივარს და გამოაქვეყნებს შესაბამის დასკვნას.

○ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტები ლექტორებისგან იღებენ უკუკავშირს, და ლექტორთან კომუნიკაცია მათთვის საკმაოდ მარტივია, როგორც ტელეფონით, ასევე პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასურველია, ლექტორებმა მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი სწავლის შედეგების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში;
- საუნივერსიტეტო გამოცდების გასაჩივრების წესი
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები სილაბუსში
- სამაგისტრო ხარისხის მინიჭების წესი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდიი
- დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუები;

რეკომენდაციები:

○ რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიერ უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და სამაგისტრო ნაშრომებში აკადემიური სტილის წესების დაცვა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ სასურველია, ლექტორებმა უფრო ხშირად მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი სწავლის შედეგების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება:	☐	■	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროცესის ოპტიმალური დაგეგმვის მიზნით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები იღებენ კომპეტენტურ საკონსულტაციო და მხარდამჭერ სერვისებს. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, პირველი კვირის ფარგლებში, ტარდება საორიენტაციო

შეხვედრა ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სადაც მათ მიეწოდებათ სრული ინფორმაცია აკადემიური სერვისების შესახებ. სტუდენტებს ასევე ემსახურება უნივერსიტეტის ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (Ini.ge), რომლის მეშვეობითაც ისინი ეკონტაქტებიან საგნის პედაგოგს, იღებენ მათგან უკუკავშირს და იყენებენ საგანმანათლებლო რესურსებს. ადგილზე ჩატარებული გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტები აკადემიურ პერსონალს უკავშირდებიან როგორც პირისპირ კონსულტაციების, ისე ელექტრონული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სისტემა მოიცავს მრავალმხრივ საკონსულტაციო სერვისებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის. ამ სერვისებზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის შემდეგი ადმინისტრაციული, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და ადმინისტრაციული პერსონალი: ელექტრონული სასწავლო პლატფორმის ადმინისტრაცია (Ini.ge პროგრამა), დეკანატი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საუნივერსიტეტო კანცელარია, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ა.შ.

სტუდენტთა მომსახურების კომპლექსური სისტემა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლების ცენტრის კოორდინაციით და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. საუნივერსიტეტო რესურსებისა და ექსპერტიზის გამოყენება პროფესიული და პერსონალური განვითარების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალი პროფესიული კომპეტენციების შეძენის მიზნით;
2. კარიერული განვითარების კურსები - კარიერული განვითარების ცენტრი;
3. უცხო ენების კურსები - უცხო ენების შემსწავლელი ცენტრი;
4. კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი პროგრამები - პროფესიული განათლების განვითარების სამსახური;
5. იურიდიული კონსულტირება - იურიდიული კლინიკა;
6. ინდივიდუალური კონსულტაცია შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან;
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და საკონსულტაციო გრაფიკები - ფაკულტეტი;
8. მობილობა და სტუდენტის სტატუსის აღდგენა/შეჩერება/შეწყვეტა/ აკადემიური შვებულება - ფაკულტეტი;
9. პლაგიატი - სამეცნიერო-კვლევითი სამსახური;

10. აკადემიური წერის კურსები - ფაკულტეტი;

11. სწავლების მეთოდები - ფაკულტეტი;

12. კურატორთა ინსტიტუტი მართვაში;

13. ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი;

14. ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი;

15. ქართულ- აფხაზური ურთიერთობების ცენტრი;

16. შემოქმედებითი ინკუბატორი;

17. ჰორიზონტ ევროპის საგრანტო პროექტების ოფისი;

18. გასტრონომიის აკადემია.

აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის კომპონენტი, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი საკონსულტაციო სერვისების მიწოდება სტუდენტებისთვის.

სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, სასწავლო გეგმის მიღმა შეისწავლონ უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული მათთვის ხელსაყრელი ფინანსური პირობებით). უცხო ენების შემსწავლელი ცენტრის პარალელურად, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს დაადგინონ საკუთარი ინტერესები, ღირებულებები და პიროვნული თვისებები, კომპეტენციები, და პროფესიული შესაძლებლობები. ცენტრი ახორციელებს მედიატორის ფუნქციას სტუდენტებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული მიზნების მიღწევასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ. უნივერსიტეტი თანამშრომლობს ანჯელიუს სილეზიუსის უნივერსიტეტთან, და ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავებას. ხელმოწერილი მემორანდუმი ითვალისწინებს აკადემიური პროგრამების განხორციელებას, პერსონალის მობილობას, ერთობლივ კვლევით პროექტებს და ინტერკულტურული დიალოგის

გაძლიერებას. მიუხედავად ამისა, სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებლი გასაუბრებების დროს დამსაქმებლებმა დადებითად შეაფასეს სტუდენტები. თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტთა სტაჟირება. დამსაქმებლები მზად არიან გაუზიარონ სტუდენტებს საკუთარი ცოდნა. ამისთვის, სასურველია უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის სხვადასხვა სახის სემინარები და ვორქშოფები ჩაატაროს დამსაქმებლების ჩართლობით. ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს საგანმანათლებლო პროგრამები. მათ კმაყოფილება გამოთქვეს სწავლების ხარისხის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, სწავლების მეთოდებისა და სტუდენტური სერვისების მიმართ.

უნივერსიტეტმა, ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით, განახორციელა კვლევითი პროექტი ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების მიზნით, რომელშიც ჩართული იყო მცირე ბიზნესის მართვის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი. კულტურის განვითარების 5 წლიანი სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს ქალაქის ძირითად კულტურულ ასპექტებს, პრიორიტეტულ მიმართულებებს, მიზნებს, შესაძლებლობებსა და განვითარების პერსპექტივებს 2022- 2026 წლებისთვის. ქალაქმა შეიმუშავა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები: ზუგდიდი არის შემოქმედებითი ქალაქი, კულტურული მემკვიდრეობით, ინოვაციებით, ხელოვნებითა და გასტრონომიული ტრადიციებით. უნივერსიტეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ პარტნიორს პროექტის განხორციელების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტური აქტივობების ჩამონათვალი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტთა კარიერული განვითარების სამსახურის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;

○ ადგილზე ვიზიტების დროს ჩატარებული გასაუბრებები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ სასურველია გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში.

○ სასურველია სტუდენტებსთვის ჩატარდეს სხვადასხვა სახის სემინარები და ვოქშოფები დამსაქმებელთა ჩართულობით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	■	□	□	□

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიმუშავა მარეგულირებელი დოკუმენტები: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები და სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია. ეს დოკუმენტები დეტალურად ასახავს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს, დანიშვნის პროცედურას, ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის საკითხებს, ასევე სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შერჩევისა და

დამტკიცების პროცედურებს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, ან მოწვეული სპეციალისტი (რომელსაც გააჩნია დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი), რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვლევითი გამოცდილება სამაგისტრო თემატიკის შესაბამის სამეცნიერო სფეროში.

ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების დროს დადგინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები რეგულარულად ატარებენ საკონსულტაციო შეხვედრებს მაგისტრანტებთან, რომელთა სიხშირე განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკისა და კვლევის თემატიკის გათვალისწინებით (მინიმალური სიხშირე - კვირაში ერთხელ). ხელმძღვანელი ვალდებულია უხელმძღვანელოს მაგისტრანტის ნაშრომს შემდეგი მიმართულებებით: კვლევის დიზაინის შემუშავება, წყაროთა შერჩევა, კვლევის პრობლემის კონცეპტუალიზაცია, კვლევითი კითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმულირება. გასაუბრებების დროს კურსდამთავრებულებმა დადებითად შეაფასეს ხელმძღვანელებთან თანამშრომლობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, უნივერსიტეტში ხორციელდება მაგისტრანტთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის შეფასება. თუმცა, აღნიშნული პროცესი ვერ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას, ამიტომ სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურობასა და შემდგომ განვითარებას.

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	7
მაგისტრანტების/დოქტორანტებ ი ს რაოდენობა	17
თანაფარდობა	7/17

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თვითშეფასების ფორმა;
- მაგისტრატურის დებულება;
- სტუდენტების გამოკითხვა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს - თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას) ნაწილებს;. რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელება და განვითარება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	■	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/ სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ- ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ და ხარისხიან განხორციელებას. პროგრამაში ჩართულ პერსონალს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები შესაბამის დისციპლინებში და აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და მათში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის მიზნით, ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერებაზე ორიენტირებული საერთაშორისო პროექტების ფარგლებში პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა გაიარა სპეციალიზებული კვალიფიკაციის ამაღლების კურსი მცირე ბიზნესის მართვის მიმართულებით, და სისტემატურად მონაწილეობდა შესაბამის სამეცნიერო კონფერენციებში.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონტინგენტი და მათი სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესების წარმართვას კურიკულუმის შესაბამისად და ხელს უწყობს კვლევითი კომპონენტის გაძლიერებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის პროპორციული თანაფარდობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე 1 სრული პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი და 5 დარგობრივი სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა შესაბამისია; სამუშაო დატვირთვის დოკუმენტში ასევე ასახულია ინფორმაცია მათი პედაგოგიური აქტივობის შესახებ სხვა უსდ-ში. ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ითავსებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს; თუმცა, მათი საათობრივი დატვირთვა ოპტიმიზებულია და რაციონალურად არის განაწილებული. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის უმრავლესობა აფილირებულია უსდ-ში და გაფორმებული აქვთ კონკრეტული ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს მათ ჩართულობას კვლევით საქმიანობაში. გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის დაქირავება გამჭვირვალეა და პროცედურები დაცულია.

პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენციები და პროფესიული გამოცდილება პროგრამის განვითარებისთვის და აქტიურად არიან ჩართულნი მის განხორციელებაში. უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტების შენარჩუნებას. უნივერსიტეტმა შეიმუშავა „მართვის პოლიტიკის დოკუმენტი", რომელიც განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობის კრიტერიუმებს, საუნივერსიტეტო საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებს და შეფასების შედეგების ანალიზისა და რეკომენდაციების გაცემის პროცედურებს. ყველა თანამშრომელი, მათ შორის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, იცავს აღნიშნულ „მართვის პოლიტიკას", რომელიც მოიცავს ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სტრატეგიის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ხარისხის მართვის ეფექტურ ფუნქციონირებას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			მქონე პერსონალი[7]	
სულ აკადემიური პერსონალი	8	8	8	5
- პროფესორი	1	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	4
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	5	5	4	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის CV-ები;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები და სამუშაო აღწერილობები;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსი	■	□	□	□

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტთა ხელმძღვანელობას ახორციელებს მაღალკვალიფიციური აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი შესაბამის დისციპლინებში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო პუბლიკაციები სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის ფარგლებში (მაგისტრატურის დებულების მე-14 მუხლის შესაბამისად). სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მაგისტრანტთა კონსულტირებას მათი საკვლევი თემატიკის ფარგლებში, აძლევს ზოგად მითითებებს, ეხმარება ბიბლიოგრაფიული რესურსების სწორად გამოყენებაში, კოორდინირებას უწევს სამეცნიერო ნაშრომების მომზადების პროცესს და ხელს უწყობს მაგისტრანტთა ინტეგრაციას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში, რაც მოიცავს სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობას, კვლევის შედეგების პრეზენტაციასა და სამეცნიერო პუბლიკაციების ჟურნალებში განთავსებას.

პროგრამის კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მაგისტრანტები სამეცნიერო ხელმძღვანელს ირჩევენ საკვლევი თემატიკის მიხედვით და უზრუნველყოფილნი არიან საკონსულტაციო შეხვედრების განრიგით. კურსდამთავრებულებმა განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეს ხელმძღვანელთა მაღალი ჩართულობა სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზის პროცესში გამოვლინდა, რომ არ არის განსაზღვრული ერთდროულად რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობის უფლება აქვს ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს. სასურველია სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის დადგენა.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით**	**მათ შორის, აფილირებული**

ხელმძღვანელთა რაოდენობა		დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	5	5	5
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	4	4	4
- ასისტენტ–პროფესორი	0	0	0
მოწვეული პერსონალი	3	3	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური პერსონალის CV-ები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, განისაზღვროს თუ რა რაოდენობის მაგისტრანტი შეიძლება ჰყავდეს ერთ ხელმძღვანელს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	■	□	□	□

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა "აკადემიური და პედაგოგიური პერსონალის შეფასების წესი" და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარების მრავალმხრივ შესაძლებლობებს და თანაბარ პირობებს ყველა კატეგორიის თანამშრომლისათვის. უსდ სისტემატურად ატარებს პროგრამის პერსონალის შეფასებასა და მათი კმაყოფილების კვლევას და შემდეგ აანალიზებს და იყენებს მათ შედეგებს. პერსონალის მრავალფეროვანი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მრავალკომპონენტიან შესაძლებლობებს, მათ შორის მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, სემინარები, ვორქშოფები), საგრანტო პროექტებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

შეფასების შედეგები ინტეგრირებულია პერსონალის განვითარების სტრატეგიულ დაგეგმვაში, ასევე ფუნქციონირებს რეაგირების მექანიზმები დადგენილი კრიტერიუმების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აკადემიური და კვლევითი აქტივობების შეფასება მოიცავს: სასწავლო პროცესის შეფასებას სტუდენტთა უკუკავშირის ინსტრუმენტებითა და გამოკითხვებით, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ანალიზს რელევანტურ დისციპლინებში, პერსონალის ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშს, კოლეგიალურ შეფასებას და სამეცნიერო პროდუქტიულობის რაოდენობრივ და თვისებრივ ანალიზს. სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებაში ინტეგრირებულია H- ინდექსი და ციტირების იმპაქტ- ფაქტორი, რაც განსხვავდება აკადემიური პოზიციების მიხედვით. შესაბამისად, უსდ უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს, მათ შორის მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი/ საშემსრულებლო აქტივობების ხელშეწყობის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა განსაზღვრა პერსონალის განვითარების ბენჩმარკები და პრიორიტეტულად მიიჩნია H-ინდექსი და ციტირების იმპაქტ- ფაქტორი, უნდა აღინიშნოს, რომ არ არის დაკონკრეტებული სად უნდა გამოაქვეყნოს პერსონალმა სამეცნიერო პუბლიკაციები. სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს

პერსონალი (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი) გამოაქვეყნონ თავიანთი კვლევის შედეგები მაღალი იმპაქტ- ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში (Web of Science, Scopus). ამჟამად, სამეცნიერო პუბლიკაციების დიდი ნაწილი წარმოდგენილია სხვადასხვა, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებზე. შესაბამისად, კვლევითი მიზნით განსაზღვრული ბენჩმარკების მისაღწევად, რეკომენდებულია უნივერსიტეტმა პრიორიტეტი მიანიჭოს მაღალი იმპაქტ- ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებს და გააძლიეროს საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში პუბლიკაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების დებულება
- პერსონალის მუშაობის შეფასების ანგარიშები და ანალიზი

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☐	■	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სასწავლო აუდიტორიები სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით, მათ შორის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, ინტერაქტიული სმარტ-დაფებით, პროექტორებით და აუდიოვიზუალური აპარატურით, და ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის.

დამატებით, ინფრასტრუქტურა მოიცავს საკონფერენციო დარბაზებსა და ფაკულტეტის ოფისებს. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ელექტრონული. ასევე არის სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერებით. სამეცნიერო- კვლევითი ცენტრი, რომელიც ამჟამად რენოვაციის პროცესშია, აღიჭურვება დამატებითი კომპიუტერებით, საბიბლიოთეკო რესურსებზე სრული წვდომით, რაც შეუქმნის მკვლევარებს დამატებით სამუშაო სივრცეს და ერთმანეთთან თანამშრომლობის საშუალებას მისცემს. ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის სპეციალური სივრცე - საბავშვო ზონა, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და იმ სტუდენტთათვის არის განკუთვნილი, ვინც შვილების გამო ვერ ახერხებს ლექციებზე დასწრებას.

ამას გარდა, უსდ იყენებს ასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც მუდმივად იყენებენ სტუდენტები, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი.

ვინაიდან პროგრამა ქართულენოვანია, უნივერსიტეტმა უნდა დაამატოს მეტი თანამედროვე სახელმძღვანელო და დაეხმაროს აკადემიურ პერსონალს უახლესი გამოცემების თარგმანის პროცესში.

არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მნიშვნელოვანწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის სისტემატური ინვესტიციები ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური რესურსების მოდერნიზაციაში, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო- ტექნოლოგიური სისტემების მრავალმხრივი მხარდაჭერის პარალელურად, უზრუნველყოფს ოპტიმალური სასწავლო გარემოს შექმნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი და გასაუბრების შედეგები;
- საბიბლიოთეკო და ციფრული რესურსები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების შესაბამისობა სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების რეგულარულად განახლება ახალი გამოცემებით, რაც პროგრამას უზრუნველყოფს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	■	□	□	□

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ანალიზმა გამოავლინა ფინანსური მენეჯმენტისადმი სტრუქტურირებული მიდგომა. ფაკულტეტისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები მოიცავს მრავალ კომპონენტს, როგორიცაა პერსონალის ანაზღაურება, საგანმანათლებლო-სამეცნიერო აქტივობებთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი გრანტები და სამეცნიერო საქმიანობის ხარჯები, რაც 200 000 ლარს შეადგენს. ბიუჯეტი ასევე მოიცავს სტიპენდიებს და სტუდენტთა აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობის ფინანსურ მხარდაჭერას, აგრეთვე სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისთვის განკუთვნილ დახმარებას. უნივერსიტეტის შემოსავალი ძირითადად მომდინარეობს სწავლის საფასურიდან, სახელმწიფო და საგანმანათლებლო გრანტებიდან. უნივერსიტეტი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ფაკულტეტის დამატებით მხარდაჭერას ცენტრალური ბიუჯეტის სპეციალური სარეზერვო ფონდებიდან. თანხების აღნიშნული განაწილება, რომელიც ყოველწლიურად იცვლება ფაკულტეტის ცვალებადი საჭიროებების შესაბამისად, ამჟღავნებს ფინანსური რესურსების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის ტენდენციას. შესაბამისად, პროგრამისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო რესურსების გამოყოფა ფინანსურად შესაძლებელია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ფაკულტეტის ბიუჯეტი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	■	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განსაზღვრა და რეგულირება ხორციელდება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" საფუძველზე, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და შეფასება; პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და მათი პროფესიული განვითარება; სასწავლო პროცესის შეფასება და გაუმჯობესება; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესება; ინტერნაციონალიზაციის პროცესის შეფასება და განვითარება; საზოგადოებრივი წვლილის შეფასება და განვითარება; მართვის პროცესების შეფასება და განვითარება; რესურსების შეფასება და რაციონალური გამოყენება. შესაბამისად, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს კურიკულუმების, სერვისებისა და რესურსების სისტემატურ შეფასებასა და მონიტორინგს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კოორდინირებულია საფაკულტეტო და ცენტრალურ დონეზე; მათი მიზანია უნივერსიტეტის ძირითადი პროცესების ყოველწლიური შეფასება, რასაც იგი სხვადასხვა გზითახორციელებს. ესენია: მრავალფეროვანი მეთოდები ყველა დაინტერესებული მხარის ჩართუობით, შეფასების შედეგების ანალიზი ეფექტური მონიტორინგისთვის, მიზნების იდენტიფიცირებისა და განვითარების ტენდენციების ფორმულირებისთვის. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება PDCA (Plan- Do- Check- Act) ციკლის პრინციპს. პროცესი გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ინტეგრირებას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებაში, ვინაიდან უნივერსიტეტი პრიორიტეტულად მიიჩნევს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობას ხარისხის შიდა შეფასების პროცესში.

პროგრამის შემუშავების პროცესი ეფუძნება რთულ ანალიზსა და შეფასებას. საბოლოო პროგრამის დამტკიცება ხორციელდება შემდეგი ეტაპების გავლით: პირველად, პროგრამას განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები, მის განხორციელებაში ჩართული პერსონალი, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები და სხვა დაინტერესებული მხარეები. შემდგომ ეტაპზე, პროგრამა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის შემდეგ, პროგრამას საბოლოოდ ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების საფუძველზე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ პროგრამის შეფასება უნივერსიტეტში თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები ეფექტურად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის აქტიურ ჩართულობას კონსტრუქციული შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუცია ახორციელებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინფორმირებას ელექტრონული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, და მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები და

კურსდამთავრებულები ჩართულნი იყვნენ თვითშეფასების პროცესში, მათი მხრიდან გამოვლინდა პროგრამის შინაარსობრივი ასპექტების შესახებ დამატებითი ინფორმირების საჭიროება. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს პროგრამებისა და ფაკულტეტის განვითარების პროცესებში კურსდამთავრებულთა ჩართულობის მოტივაციისა და ეფექტურობის გაძლიერების სტრატეგია.

საჭიროებათა კვლევები და ანალიზი გამოიყენება ხარისხის შიდა შეფასების პროცესებში პრობლემების მიზანმიმართული იდენტიფიკაციისა და ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გამოკითხვები ორიენტირებულია სტუდენტთა კმაყოფილების დონის, საჭიროებებისა და მოლოდინების გამოვლენაზე. პარალელურად ხორციელდება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები პროგრამების ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანალიზი და მისი გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის და აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობის წახალისება;

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	■	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გზით, რასაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს რეკომენდაციებისა და რჩევების ანალიზს, ხოლო შემუშავებული მიგნებები შემდგომი განხილვისთვის გადაეცემა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ფაკულტეტების ხელმძღვანელებს. პროგრამის შემუშავების პროცესში, წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა იმუშავა წინა აკრედიტაციის მიგნებების განხორციელებაზე. ინსტიტუცია ასევე იყენებს გარე შეფასების მექანიზმებს, რომლის ფარგლებშიც პროგრამამ გაიარა ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ექსპერტების შემოწმება. 2018 და 2019 წლებში პროგრამა შეაფასეს დარგის გარე ექსპერტებმა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანალიზი და მისი გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	■	□	□	□

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამების განვითარებისა და სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სისტემატურ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებს. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის ფუნდამენტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. ეფექტური მონიტორინგის პროცესის უზრუნველსაყოფად და გასაუმჯობესებელი სფეროებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება კმაყოფილებისა და საჭიროებათა შეფასების გამოკითხვები. შეფასების შედეგები ეცნობება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს და გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

უსდ-ში დანერგილია ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება როგორც კოლეგიალური, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთა მიერ წინასწარ დადგენილი პერიოდულობითა და წესით. სემესტრის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე იქმნება ურთიერთდასწრების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ხელმძღვანელობით. აღნიშნული ჯგუფი ამზადებს ურთიერთდასწრების განრიგისა და სწავლა-სწავლების შეფასების კრიტერიუმებს/ინდიკატორებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სალექციო/პრაქტიკული/ ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასება.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესების ოპტიმიზაციისთვის. ინსტიტუციაში დანერგილია პროგრამის ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა - სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში განსაზღვრული სამიზნე ინდიკატორები განიხილება სწავლა- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ინდიკატორებად. შეფასების მიზანია დევიაციების გამომწვევი ფაქტორების (არსებობის შემთხვევაში) იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრა შემდეგი ხერხების გამოყენებით: პროგრამის ან/და სასწავლო კურსის მოდიფიცირება; სწავლა- სწავლების მეთოდების შეცვლა; სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდების გაუმჯობესება; სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა; სასწავლო კურსის წინაპირობების დადგენა/ შეცვლა და სხვა.

ვინაიდან საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობს ანალოგიური პროგრამა, მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილების პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინდივიდუალიზმს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროგრამის პერსონალსა და საერთაშორისო კოლეგებს შორის თანამშრომლობის ფორმირებას. პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი გაეცნო ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგ პროგრამებს. სამაგისტრო პროგრამა შეადარეს გრონინგენისა და ფლორიდის უნივერსიტეტების შესაბამის პროგრამებს. ანალიზის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი თანხვედრა აკრედიტებულ ანალოგიურ პროგრამებთან და სასწავლო კურსებთან, ასევე დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების ანალიზი და მისი გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის ანგარიში
- სწავლის შედეგების შეფასება;
- ანალოგი პროგრამების ანალიზი
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	■	□	□	□

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	■
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	□
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	□

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „მცირე ბიზნესის მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	■	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	■	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■	☐	☐	☐

ხელმოწერები: